- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს

საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს წმინდა საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვალებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- | | |
|--|--------------|
| • შენობა-ნაგებობები | • 20-30 წელი |
| • მანქანა დანადგარები | • 5-10 წელი |
| • ინვენტარი | • 5-10 წელი |
| • ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | • 5-10 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | • 5-10 წელი |
| • სხვა ძირითადი საშუალებები | • 5-10 წელი |

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან

მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. სესხის ძირითადი ნაწილი შედგება საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებული საკრედიტო ხაზისგან, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან ვალდებულებებს და არც ერთი მათგანს არ გააჩნია 12 თვეზე მეტი გადახდის პირობა.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი, რომელიც მოიცავს დამფუძნებლების ფულად და არა ფულად შენატანებს. დივიდენდის აღიარება ხდება ვალდებულებებში იმ წელს როდესაც ხდება გამოცხადება.

ამონაგების აღიარება

თამაშებით მიღებული შემოსავალი წარმოდგენილია წმინდა შემოსავლის სახით, რაც გაიანგარიშება მიღებულ თანხებს გამოკლებული მომხმარებელთა მოგება და ქეშბექ ბონუსები.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საოპერაციო ხარჯები მოიცავს კომუნალურ, კომუნიკაციის, ადმინისტრაციის ხელფასის და სხვა ისეთ დანახარჯებს, რომელთა გაწევაც ხორციელდება განსაზღვრული ვალდებულების უწყვეტად შესასრულებლად.

5. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

6. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საწყისი ღირებულება					
ბალანსი 31/12/2019	727,038	115,580	9,599	-	852,217
დანამატები	-	-	-	-	-
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	(94,739)	(37,860)	(180)	-	(132,779)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2020	632,299	77,720	9,419	-	719,438
დანამატები	877,725	4,597	8,409	-	890,731
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	(302,005)	(18,685)	(3,481)	-	(324,171)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	10,688	-	-	10,688
ბალანსი 31/12/2021	1,208,019	74,320	14,347	-	1,296,686
დანამატები	974,697	-	-	12,100	986,797
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	(436,543)	(14,898)	(2,785)	(1,815)	(456,041)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2022	1,746,173	59,422	11,562	10,285	1,827,442
ბალანსი 31/12/2020	632,299	77,720	9,419	-	719,438
ბალანსი 31/12/2021	1,208,019	74,320	14,347	-	1,296,686
ბალანსი 31/12/2022	1,746,173	59,422	11,562	10,285	1,827,442

7. მარაგები

მარაგები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31.12.2022	31.12.2021
საქონელი	37,772	27,642
სამეურნეო საქონელი	-	10,183
მცირეფასიანი ინვენტარი	-	43,874
სხვა საქონელი	-	315,089
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	37,772	396,789

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	-	7,771
გადახდილი ავანსები	374,907	432,761
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	374,907	440,533

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ფული და ფულის ეკვივალენტები	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული სალაროში	279,366	1,264,214
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	73,118	9,106
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	-	161
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	352,484	1,273,481

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	852,577	850,012
გადასახდელი ხელფასები	89,091	449
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	941,668	850,461

11. გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	31.12.2022	31.12.2021
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	1,662,904	257,012
მისაღები პროცენტები	566,141	617,556
სულ გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	2,229,045	874,568

	2022	2021
1 იანვარს	874,568	2,723,225
გაცემული სესხები	2,191,523	-
გაცემული სესხების დაფარვა	(796,239)	(1,971,336)
მიღებული პროცენტი	(118,810)	(142,481)
საპროცენტო შემოსავალი	65,649	284,432
საკურსო სხვაობა	12,354	(19,273)
სულ გაცემული სესხები	2,229,045	874,568

12. ამონაგების ანალიზი

კატეგორიის მიხედვით მიღებული ამონაგების ჩაშლა:

შემოსავალი მომსახურებიდან	2022	2021
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	15,096,534	3,819,611
უკომპენსაციო დასაბეგრი შემოსავალი	565,736	81,655
სხვა შემოსავალი	93,185	34,224
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	15,755,455	3,935,489

13. თვითღირებულების ხარჯი

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	2022	2021
წამახალისებელი გათამაშებები	648,975	-
ფურშეტის ხარჯები	1,236,642	320,361
სხვა ხარჯები	65,112	34,588
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	1,950,729	354,949

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
სახელფასო ხარჯები	2,685,001	1,368,401
საიჯარო ხარჯები	3,669,273	1,123,907
ცვეთა და ამორტიზაცია	456,100	313,552
მოსაკრებელი სათამაშო აპარატებიდან	1,499,988	525,600
საბანკო ხარჯები	201,912	32,505
კომუნიკაციის ხარჯები	381,294	270,688
მომსახურების ხარჯები	261,540	84,834
პერსონალის კვების ხარჯები	143,814	41,461
საპენსიო ხარჯები	44,040	22,454
სამეურნეო ხარჯები	102,484	306
საგადასახადო ხარჯები	44,390	336,923
სხვა საერთო ხარჯები	280,466	141,734
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9,770,302	4,262,366

15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი გარემოებები რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

შინაარსი

შესავალი	3
წარდგინება დირექტორისგან	3
კომპანიის შესახებ.....	3
შიდა სტრუქტურა.....	4
თანამშრომლები	4
საქმიანობის მიმოხილვა.....	5
ბაზრის მიმოხილვა	5
საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები	5
მოსაკრებლების განაკვეთები	6
არაფინანსური მახასიათებლები.....	7
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე.....	7
კორუფციასთან ბრძოლა	8
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა.....	8
რისკები და მათი მართვის მექანიზმი	8
საკრედიტო რისკი.....	8
ლიკვიდურობის რისკი	8
საბაზრო რისკები.....	8
ზოგადი რისკები.....	9
SWOT ანალიზი	9

შესავალი

დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ძირითად კომპონენტებს, როგორიცაა: საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები. ასევე მოიცავს კომპანიის როგორც მიღწეულ შედეგებს, ასევე სამომავლო მიზნებსა და ფაქტობრივ მონაცემებს, რომლებიც ასახავს მისი განვითარების პოტენციალს.

გარდა ამისა, დოკუმენტი შეიცავს ანალიტიკურ ინფორმაციას ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც საქმიანობის წინაშე უმნიშვნელო ან სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნიან. აქვე წარმოდგენილია კომპანიის ხედვა, სამომავლო გეგმები და კორპორაციული ეთიკის სტანდარტები, რომლებიც ორგანიზაციის ძირითადი პრინციპებია.

წარდგინება დირექტორისგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „როიალ ბათუმის“ მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მაღლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

კომპანიის შესახებ

კომპანია დაარსდა 2017 წლის 29 აგვისტოს და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და რეგისტრირებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას სრულად ფლობდა ბატონი ბერივან ილდირანი. ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სლოტ კლუბის ოპერირება.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ., N53, ბ. 17.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობას წარმოადგენს სლოტკლუბის ოპერირება, ქ. ბათუმში, სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტთან მიმდებარე.

კომპანია ფლობს სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვებს 2017 წლიდან. კომპანია მიმართულია საქართველოში არსებული სათამაშო ბიზნესის სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიისა და განსხვავებული მომსახურების სფეროს ხარისხის განვითარებაზე. კომპანიას შეუძლია კლიენტს შესთავაზოს განსხვავებული ცოცხალი თამაშის მაგიდებისა და სათამაშო აპარატების ფართო არჩევანი.

ამასთანავე, გარკვეული პერიოდებით იმართება წამახალისებელი გათამაშებები, თამაშდება ფულადი პრიზები. წამახალისებელი გათამაშების მთლიანი ბიუჯეტის 10% გადახდილი არის ბიუჯეტში, როგორც ეს კანონმდებლობით არის მოთხოვნილი. ბიუჯეტი და რეგლამენტი წინასწარ უთანხმდება შემოსავლების სამსახურს, ასევე კომპანიას ეკისრება საგადასახადო აგენტის ფუნქცია მოგებული მონაწილეების შემოსავლებიდან საშემოსავლო გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავებაზე.

კომპანიის ძირითადი სამოქმედო ბაზარი არის თურქეთის რესპუბლიკა, საიდანაც ხდება შესაბამისი წახალისებისა და პროდუქტების შეთავაზებით კლიენტების მოზიდვა.

ადგილობრივი ბაზარი წარმოადგენს კონკურენტულ გარემოს, სადაც კომპანია ცდილობს შექმნას საკუთარი პროდუქტი, რითაც მოიზიდავს კლიენტებს. კერძოდ კლიენტების მოსაზიდად კომპანიის მიერ ტარდება წამახალისებელი გათამაშებები, აგრეთვე ხდება კლიენტებზე ტრანსპორტირების, დაბინავებისა და კვების უზრუნველყოფის შეთავაზება. კომპანია საქმიანობის განვითარების მიზნით გეგმავს დამატებითი ბაზრის ათვისებას, რომლის ფარგლებშიც თურქეთიდან მოიზიდავს დამატებით კლიენტურას.

შიდა სტრუქტურა

კომპანიას ყავს გენერალური მენეჯერი, რომელიც ამავდროულად არის კომპანიის დირექტორი. გენერალურ მენეჯერზე სტრუქტურულად დამოკიდებული არის შემდეგი დანაყოფები: ცოცხალი თამაშების, სათამაშო აპარატების, მიმღები, ფინანსური, მარკეტინგის, კამერების, ტრანსპორტირების უზრუნველყოფის, ბარის, ტექნიკური, დასუფთავების, დაცვის და სამზარეულოს დეპარტამენტები. თითოეულ დეპარტამენტს ყავს თავისი ხელმძღვანელი რომელიც ემორჩილება გენერალურ მენეჯერს.

თანამშრომლები

2022 წლის განმავლობაში კომპანიაში 110-ზე მეტი თანამშრომელი მუშაობდა და მათზე წლის განმავლობაში ხელფასის სახით 2.6 მილიონ ლარზე მეტი გაიცა.

კომპანია საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელია, ხელფასები კონკურენტუნარიანია, ასევე კომპანია იღებს თანამშრომლების კვებისა და ჯამრთელობის დაზღვევის ხარჯებს.

მუდმივად ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ თანამშრომელთა სამუშაო პირობები და გარემო. კომპანია ახალი თანამშრომლების შერჩევისას არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული კადრების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციით.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი.

საქმიანობის მიმოხილვა

ბაზრის მიმოხილვა

სათამაშო ბიზნესი საქართველოში შეიძლება ითქვას რომ ერთ-ერთი პრიორიტეტული სეგმენტია, როგორც ტურისტული ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი ქვეყანაში, საქართველოს მთავრობის პოლიტიკაა რომ ხელი შეუწყოს საქართველოს სათამაშო ჰაბად ქცევას რეგიონში. მედიაში აქტიურად შუქდება სათამაშო ბიზნესის ახალი ობიექტების მშენებლობის თაობაზე, ან ახალ სათამაშო ობიექტის გახსნაზე სიახლეები. ხშირ შემთხვევაში ახალი ობიექტის გახსნა დაკავშირებულია იმ სასტუმროს გახსნასთანაც სადაც ეს ობიექტია განთავსებული. აგრეთვე, ხდება ხელის შეწყობა საკანონმდებლო რეგულაციებით, რომლის მიხედვითაც სამორინეებისთვის არსებობს სალიცენზიო შეღავათები თუ ამავედროულად აშენდება ახალი სასტუმრო. გარდა ამისა არსებობს სალიცენზიო მოსაკრებლების შეღავათები ცალკეულ რეგიონებში, მათ შორის ბათუმში, შედეგად ბათუმი ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქია სამორინეების რაოდენობით არა მარტო საქართველოს მასშტაბით, რის გამოც იგი სათამაშო ტურიზმის ერთ-ერთი გამორჩეული მიმართულებაა მთელს რეგიონში.

ბათუმი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, აჭარის რეგიონში, რომელიც ესაზღვრება თურქეთს და სწორედ ამ ქვეყნიდან ფიქსირდება კაზინოების სტუმრების დიდი რაოდენობა. გარდა ვიზიტორებისა, ზემოთხსენებული შეღავათებიდან გამომდინარე ბათუმი მიმზიდველია ინვესტორთათვის და შესაბამისად სათამაშო ბიზნესში უმეტესობა ინვესტორი უცხოელია.

სათამაშო ბიზნესის სეგმენტი საქართველოში სხვა სეგმენტებთან შედარებით უკეთესად არის განვითარებული და შესაბამისად ქვეყნის ბიუჯეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია. კაზინოები საქართველოში ლეგალურად 1990 წლიდან არსებობს. სათამაშო ბიზნესის სექტორში ბრუნვისა და მოგების ზრდის ტრენდი მუდმივად მზარდია, განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში. სათამაშო ბიზნესი არა მხოლოდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკასა და ბიუჯეტზე, ასევე ამ სფეროში დასაქმებულია 15,000 მეტი ადამიანი.

საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები

სათამაშო ბიზნესი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მკაცრად რეგულირებული საქმიანობის ფორმაა და ამ მხრივ გამოწვევის არც საქართველოა. საქართველოში სათამაშო ბიზნესის საქმიანობას, ზოგადად საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის სავალდებულო საკანონმდებლო აქტების გარდა, კიდევ ექვსი საკანონმდებლო აქტი არეგულირებს.

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველო კანონი;
3. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
5. „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ნებართვის მფლობელ პირთა მიერ სანებართვო პირობების შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“;
6. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 14 დეკემბრის N611-1013 ერთობლივი ბრძანება;

7. „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი (ორგანიზატორი) პირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულებისა და

„სამორინეების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2004 წლის 28 ივლისის N94 ბრძანება.

ამ საკანონმდებლო აქტების შინაარსიდან გამომდინარე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, აზარტული და მომგებიანი თამაშების ორგანიზება სპეციალურ ნებართვებს საჭიროებს და აზარტული და მომგებიანი თამაშების უნებართვოდ გამართვა ან ნებართვის პირობების შეუსრულებლობა კანონდარღვევად ითვლება და ქვეყნის კანონმდებლობით ამგვარი შემთხვევებისთვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

ნებართვების გაცემას, მასში ცვლილებებს და ნებართვების გაუქმებას ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს. შემოსავლების სამსახური სხვადასხვა სახის აზარტული თამაშების მოწყობისათვის ნებართვებს გასცემს, თითოეული ტიპის თამაშზე ცალკეული ნებართვა გაიცემა. კონკრეტული ნებართვის ტიპის მიხედვით, განსხვავდება ამ ნებართვის მოქმედების პერიოდები და ასევე იგივე ტიპის აზარტული თამაშის ელექტრონული ფორმით მოწყობის დაშვებაც განსხვავებულია.

მოსაკრებლების განაკვეთები

მოსაკრებლების რაოდენობაც განსხვავდება საქმიანობის ქვეტიპის მიხედვით, იმის მიხედვით თუ რა ტიპის აზარტული თამაშის მოწყობის ნებართვაა გაცემული. აზარტული თამაშს ყველა ქვეტიპისათვის სანებართვო მოსაკრებლის გადახდა უნდა მოხდეს წინასწარ, საქმიანობის დაწყებისას. სამორინეს მოწყობის წლიური სანებართვო მოსაკრებელი განსხვავდება ქვეყნის ტერიტორიაზე სამორინეს ადგილმდებარეობის მიხედვით:

გეოგრაფიული მდებარეობა	სანებართვო მოსაკრებელი
• თბილისი	5,000,000 ლარი
• დუშეთის მუნიციპალიტეტი • ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორია • ქობულეთის მუნიციპალიტეტი • ბორჯომის მუნიციპალიტეტი	250,000 ლარი
• ახალციხის მუნიციპალიტეტი	1,000,000 ლარი
• ყაზბეგის მუნიციპალიტეტი • ბათუმი • წყალტუბოს მუნიციპალიტეტი • სიდნაღის მუნიციპალიტეტი • დაბა ბაკურიანი • გუდაური	სანებართვო მოსაკრებლისგან განთავისუფლებულია
• ქვეყნის დანარჩენი ტერიტორია	5,000,000 ლარი

თუ კომპანია სათამაშო აპარატების მოწყობის ნებართვის მფლობელია, მაშინ გათავისუფლებულია საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე ერთი აზარტული კლუბის მოწყობის სანებართვო გადასახადისგან.

სანებართვო მოსაკრებელი ტერიტორიის მიხედვით, სათამაშო აპარატების სალონისთვის შემდეგია:

გეოგრაფიული მდებარეობა	სანებართვო მოსაკრებელი
• თბილისი	1,000,000 ლარი
• ბათუმი • ქუთაისი • რუსთავი • ფოთი	200,000 ლარი
• თელავი • გორი • მარნეულის მუნიციპალიტეტი • ზუგდიდი • ოზურგეთი • ახალციხე • ხაშურის მუნიციპალიტეტი • ქობულეთის მუნიციპალიტეტი • ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი • სენაკის მუნიციპალიტეტი	100,000 ლარი
• ქვეყნის დანარჩენი ტერიტორია	50,000 ლარი

გარდა სანებართვო მოსაკრებლებისა, სათამაშო ბიზნესი იხდის კვარტალურ მოსაკრებლებს. განაკვეთები, გადახდის წესი და ვადები, საქმიანობის ქვესახეობის მიხედვით განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

- თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 1,500 -4,000 ლარი
- თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%

არაფინანსური მახასიათებლები

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს შრომის უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს და აღნიშნული მოთხოვნების დაცვასთან ერთად, კომპანია ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიას აქვს ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ და ჩვენთან დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

რისკები და მათი მართვის მექანიზმი

რისკების იდენტიფიცირება და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოეშვება ფულის და ფულის ექვივალენტებისგან.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

კომპანიის მიზანია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დონის შენარჩუნება ისეთი ოდენობით, რომელიც ადმატება ფინანსური ვალდებულებების ფულადი სახსრების მოსალოდნელ გადინებას, სამი თანმიმდევრული თვის განმავლობაში.

ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში პროგნოზირება შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები, ეპიდემიები. ასევე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას წარმოექმნება ლიკვიდურობის პრობლემები, შეუძლია მოიპოვოს დაფინანსება მისი მფლობელისგან.

საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების

ოპტიმიზაციის ფონზე. მოგება ან ზარალის არასტაბილურობის სამართავად კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას.

ზოგადი რისკები

კომპანიას გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკების (მაგ. თაღლითობა, ქურდობა, და ა.შ.) შემცირებისაკენ. რეგულარულად ხდება მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და აღწერა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის დაცულობას მსგავსი რისკებისგან. შიდა შემოწმებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიმე სერიოზული ხარვეზი ან დანაკლისი არ გამოვლენილა.

SWOT ანალიზი

	პოზიტიური	ნეგატიური
შიდა	ძლიერი მხარეები კომპანიის აქტივები მომსახურების ხარისხი კაზინოს არსებული ინვენტარი კარგი ადგილმდებარეობა ძლიერი გუნდი ბრენდი	სუსტი მხარეები მოგების დაბალი მაჩვენებელი
გარე	შესაძლებლობები ტურიზმის განვითარება კანონმდებლობის მოქნილობა სერვისის მოთხოვნის ზრდა	საფრთხეები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა რეგულაციების გამკაცრება ძლიერი კონკურენტები პოლიტიკური დესტაბილიზაცი ბაზრების ცვალებადობ გაუთვალისწინებელი გარემოებები

მუსტაფა იათმაზ
დირექტორი

29 მაისი, 2023 წელი

ოპტიმიზაციის ფონზე. მოგება ან ზარალის არასტაბილურობის სამართავად კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას.

ზოგადი რისკები

კომპანიას გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკების (მაგ. თაღლითობა, ქურდობა, და ა.შ.) შემცირებისაკენ. რეგულარულად ხდება მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და აღწერა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის დაცულობას მსგავსი რისკებისგან. შიდა შემოწმებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიმე სერიოზული ხარვეზი ან დანაკლისი არ გამოვლენილა.

SWOT ანალიზი

	პოზიტიური	ნეგატიური
შიდა	ძლიერი მხარეები კომპანიის აქტივები მომსახურების ხარისხი კაზინოს არსებული ინვენტარი კარგი ადგილმდებარეობა ძლიერი გუნდი ბრენდი	სუსტი მხარეები მოგების დაბალი მაჩვენებელი
გარე	შესაძლებლობები ტურიზმის განვითარება კანონმდებლობის მოქნილობა სერვისის მოთხოვნის ზრდა	საფრთხეები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა რეგულაციების გამკაცრება ძლიერი კონკურენტები პოლიტიკური დესტაბილიზაცი ბაზრების ცვალებადობ გაუთვალისწინებელი გარემოებები

მუსტაფა იათმაზ
დირექტორი

29 მაისი, 2023 წელი

